საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/16

ქ.თბილისი

"18" აპრილი 2017 წ.

„წავკისის ქედზე რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით საორგანიზაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 28 ოქტომბრის N6/23 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „წავკისის ქედზე რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით საორგანიზაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 28 ოქტომბრის N6/23 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, მიმდებარედ რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით საორგანიზაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე";

ბ) ბრძანების საკონსტატაციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;
„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") მიერ „ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, მიმდებარედ, რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის (შემდგომში „სადგური") მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად";

გ). ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ა) იოსებ ხარებავა- კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
ბ) ნიკოლოზ წერეთელი- კომისიის აპარატის ადმინისტრაციის სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის ლოჯისტიკის სპეციალისტი;

გ) ნარგიზა ლომთაძე -კომისიის აპარატის ადმინისტრაციის არასაშტატო სპეციალისტი;
დ)ნიკოლოზ კონდოლელი - რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის რადიომონიტორინგის სადგურის მთავარი ინჟინერი;
ე) თეიმურაზ ბერიკელაშვილი -კომისიის აპარატის ადმინისტრაციის მძღოლი".

დ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. დამტკიცდეს სადგურის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის განსახორციელებელი აქტივობების კორექტირებული გრაფიკი (დანართი 1)".

ე) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდი".

2. ბრძანება ძალაში შედის მისი კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

საფუძველი: რადიოსიხშირული სპექტრის საპელენგაციო სადგურის მოწყობის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის იოსებ ხარებავას მოხსენებითი ბარათი (N8-10/3161-17; 18.04.2017 წ.)

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე